





**კვირის ეკონომიკური მონიტორი  
4 - 10 სექტემბერი, 2017**

- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად 7% იქნება.
- 2017 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 14,3%-ით შემცირდა.
- აგვისტოში ინფლაციის დონემ 5,7% შეადგინა.



ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,9%-ით გაიზარდა და 16,6 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2017 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 8,9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 18,9%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

2017 წლის II კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 631,3 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5,0%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40,1% ქალია, ხოლო 59,9% - კაცი.


დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36,5% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22,5% - საშუალო, ხოლო დარჩენილი 41,0% - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 598,1 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 6,0%-ით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 1996,6 მლნ. ლარია (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,7 %-ით მეტი).


2017 წლის II კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1106,9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 128.8 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 816,3 ლარი (გასული წლის შესაბამისი



**ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2017 წლის II კვარტალი**



**ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2017 წლის II კვარტალი**




პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 88,8 ლარით).

2017 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 45,9% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა - 12,4%-იანი წილით, შემდეგ მოდის მშენებლობა - 10,1%- იანი წილით და ხელოვნება, გართობა და დასვენება 7,8%-იანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება 6.3%-იანი წილით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება 3.7%- იანი წილით, ხოლო დარჩენილი 13,9% კი სხვა დარგებზე ნაწილდება.

2017 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში უდიდესი წილი (21,7%) დამამუშავებელი მრეწველობის დარგზე ნაწილდება. მეორე და მესამე ადგილებს იკავებს მშენებლობა (20,9%) და ვაჭრობა (16,9%). შემდეგ მოდის ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,2%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31,3 პროცენტაიანი წილი უჭირავს.


**ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები**



საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის 31 აგვისტოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,915 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით შემცირებულია 23 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი გაზრდილია 26 მილიონი აშშ დოლარით.




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 7% იქნება. ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკა შესაბამისობაშია არსებულ პროგნოზებთან. აგვისტოში წლიური ინფლაცია შემცირდა და 5.7 პროცენტი შეადგინა. არსებული პროგნოზით, ინფლაცია წლის ბოლომდე მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება და მომავალი წლის დასაწყისში, დროებითი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, სამპროცენტიან მაჩვენებელს დაუახლოვდება. ამასთანავე, სტაბილურია ინფლაციური მოლოდინებიც. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გადაწყვიტა ამ ეტაპზე პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვება. დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად შემცირდება და ნეიტრალურ დონეს დაუახლოვდება. საგარეო მოთხოვნა კვლავ დადებითი ტენდენციებით ხასიათდება. მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობს როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე ტურიზმის შემოსავლები. იზრდება ფულადი გზავნილების მაჩვენებელი. ამასთან, ზომიერად იზრდება იმპორტის მოცულობა. წინასწარი შეფასებით, მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ეკონომიკის ზრდა 4.4 პროცენტია. ეკონომიკური აქტივობა კვლავ პოტენციურ დონეზე ნაკლებია და, შესაბამისად, ინფლაციაზე მოთხოვნის მხრიდან ზეწოლის რისკებს არ ქმნის. აღსანიშნავია ასევე ლარიზაციის ზრდის ტენდენცია ფინანსურ სექტორში. მიმდინარე წლის განმავლობაში სესხების ზრდა ძირითადად ლარის სესხებით არის განპირობებული. ამასთანავე, ბოლო თვეების განმავლობაში იზრდება ლარით მოზიდული დეპოზიტებიც. ლარიზაციის ზრდა ამცირებს სავალუტო მერყეობის გავლენას განკარგვად შემოსავალზე და ხელს უწყობს საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2017\* წწ.  
(მლნ. აშშ დოლარი)




\*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2017 წლის II კვარტალში (%)



უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წლის II კვარტალში (%)




"საქსტატის" წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წლის II კვარტალში 346.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 14.3 პროცენტით ნაკლებია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 751.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 5.5 პროცენტით ნაკლებია.

2017 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 36.6 პროცენტით, მეორე ადგილზე - ნიდერლანდები 12.4 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე თურქეთი - 11.3 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2017 წლის II კვარტალში 66.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 130.4 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 70.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი 29.3 მლნ. აშშ დოლარით.

### ვიზიტორთა რაოდენობა



2017 წლის იანვარი – აგვისტოს თვის მონაცემებით საქართველოს 5,059,106 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +18.9%-ია.

მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 2,402,699 შეადგინა (ზრდა +29.4%). ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+10.4%), სომხეთიდან (+16.8%), რუსეთიდან (+33.9%), თურქეთიდან (-6.6%) და ირანიდან (+141.9%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ – აგვისტოში გამოირჩნენ ნიდერლანდები +38%, გერმანია +32%, გაერთიანებული სამეფო +31% და საფრანგეთი +29%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან საუდის არაბეთი +196%, ქუვეითი +178%, ირანი +142% და ინდოეთი +99%.

რაც შეეხება, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეს, საქართველოს 1,080,449 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +27.4%-ია. მათ შორის 24 საათი და მეტი დროით საქართველოში 573,368 საერთაშორისო ვიზიტორი გაჩერდა (ზრდა +27.1%).

2017 წლის აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტი სომხეთიდან (+11.7%), რუსეთიდან (+27.8%), აზერბაიჯანიდან (+18.5%), თურქეთიდან (+42.2%) და ირანიდან (+85.1%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, აგვისტოში გამოირჩნენ იტალია +42%, გაერთიანებული სამეფო +40%, საფრანგეთი +39% და გერმანია +32%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან საუდის არაბეთი +176%, ქუვეითი +168%, ინდოეთი +87%, ირანი +85% და თურქეთი +42%.






**პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით**

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	6.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	17.5
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.2
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი	3.1
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.0
ჯანმრთელობის დაცვა	7.8
ტრანსპორტი	11.6
კავშირგაბმულობა	-1.1
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.1
განათლება	1.2
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.2
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.7

**ინფლაციის დონე, სულ 5.7**

**ჯგუფების წილი 2017 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 5.7%)**



2017 წლის აგვისტოში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5,7 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 6,2 პროცენტით, რაც 1,88 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (18,4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (11,9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (7,4 პროცენტი), თევზი (6,8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (6,1 პროცენტი);


ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 11,6 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1,46 პროცენტული პუნქტი შეიტანა. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (16,2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 17,5 პროცენტით, რაც 1,14 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (37,3 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 7,8 პროცენტით, რაც 0,69 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასებმა მოიმატა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (20,9 პროცენტი).




### დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




საბაზრო მონაცემების თანახმად, მიმდინარე კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში 0.49%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი დოლარის შეძენა 2,4618 ლარად იყო შესაძლებელი.

### დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი



გასული ერთი თვის ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში გამოსახულია გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ საბაზრო მონაცემების თანახმად გასულ თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 2,95%-ით გაუფასურდა.


### ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



საბაზრო მონაცემების თანახმად მიმდინარე კვირაში ლარი ევროსთან მიმართებაში 0,91%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი ევროს შეძენა 2,9702 ლარად იყო შესაძლებელი.



ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი ევროსთან მიმართებაში 5.61%-ით გაუფასურდა.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში ანალიზისათვის გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქსტატის, ეროვნული ბანკის და აგორა ფინანსების ვებ-გვერდებიდან.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში მოყვანილი მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იქნას აგორა ფინანსები როგორც ინფორმაციის წყარო.

საკონტაქტო ინფორმაცია:

გ. მუშკუდიანი

[g.mushkudiani@agora.ge](mailto:g.mushkudiani@agora.ge)